№ 2 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი 1. ორშაბათი 3 ივლისი, 1912

ჩვენი
# ცხოვრება

გაზ. „ჩვენი ცხოვრება“ ღირს როგორც ქუთაისში, ისე ქუთაისს გარეთ, ერთი წლით—7 მ., ნახევ. წლით—4 მ., სამი თვით ქუთაისში—2 მ. და 50 კ., თვიურათ ქუთაისში—80 კ., ქუთაისს გარეთ—90 კ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ ორჯერ მეტი ვიდრე რამდენიც ქუთაისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 3 მ., 3 საათს შემდეგ 4 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ამათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ მოწერას არ კისრულობს ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა პროვინციაში 40 კ.

რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლში.

? ? ?

ამ წლის პირველი ივლისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

## „ჩვენი ცხოვრება“

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან., ნახევარის წლით—4 მ., სამი თვით—2 მ. ❘ 50 კ. თვიურათ ქუთაისში—80 კაპ., ქუთაისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ 14 მან. განცხადება პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

რედაკტორ-გამომცემელი ა. სულაქველიძე.

ფულის გამოსაგზანი ადრესი: Кутаисъ, Юстину Гаврiил. Баланчивадзе.

ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ ბალანჩივაძის სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლი, № 6.

ქაღალდის პაკეტების ფაბრიკა და სწრაფლ-მბეჭდავი

### გ. ლ. კვერღელიძისა და დ. ვ. რამიშვილისა

ბათუმში, პეტერბურგის ქუჩა, № 48 რკ. გზ. სადგურ. სიახლოვეს

მიიღება დაკვეთა ყოველნაირი ხარისხისა და ზომის პაკეტებზე: აფთიაქებისათვის კანდიტერებისათვის, საბაკალეინო მაღაზიებისათვის, ხილეულობისთვის და სხ. დაკვეთილი პაკეტები მზადდება ჩქარა და დროზედ კეთილ-სინიდისიერად ნიმუშები პირველ მოთხოვნილებისამებრ.

ფასები ვოლ-ველ კონკურენციის გარეშე.

დეპეშის ადრესი: Фабрика Квергелидзе и Рамишвили.

მ—1—1

### შეუშხუნა „ჩვენი გემო“ კვასი.

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან: კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ, როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ, გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ „ჩვენი გემო“ და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადული წყლიდან დამზადებული პურის კვასი, მოითხოვონ ყველგან „ჩვენი გემო“ და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით მათე გორგილაძე და ამხანაგობა.

მისამართი: სუდების ქუჩა, სახლი № 6. 20—1—1

### მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

გაზეთი

წელიწადი მეორე **„თემი“** წელიწადი მეორე

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—1 მ. 25 კაპ. ერთი თვით—25 კაპ. რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая 6, редакцiя газеты „Т Е М И“.

რედაქტორ-გამომცემელი გრ. დიასამიძე

**ექიმი** ირ. ციხანოვსკი ლებულობს შინაგან, საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავათმყოფებს დილის 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე.

ადრესი: ქარავან სარაისა და მიხაილოვის ქუჩების კუთხე, სასტუმრო „ლონდონი“.

**ექიმი** მ. მგალობლიშვილი იღებს ბავშთა, შინაგან და საბებიო სნეულ ავადმყოფთ, დილის 10—1 საათ. საღ. 5—7.

გაგარინის ქ. № 5, პოლიცმეისტრის კანცელარიის გვერდზე. 3—თ.

თფილისი, ნაძალადევი.

**ექიმი კბილისა**

ა. (გ) ბ. დოლიძე გადავიდა ნაძალადევში რკ. გზ. ხიდის ახლოს ჩერქეზოვის ქუჩაზე № 145, ბ. დვალიძის სახლში. სწამლობს კბილისა, ღრძილისა და პირის ავათმყოფობას, აგრეთვე აკეთებს პლომბებს, სწმენდს და აცილებს კბილის ქვას, იღებს უვარგის კბილებსა და ფესვებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს, დილის 8—2 ს-მდი და საღ. 4—7 საათ.

მ—1—1

**Курсистка** Моск. Высш. Жен. Курс. репетируетъ по всѣмъ предметам, (долголѣтняя практика) специальность русск. яз. и литература. Ивановская ул., близъ нагорнаго участка, д. Оганезовыхъ. Спросить Астафьеву.

## ოსმალეთის ზასაჭირი.

ოსმალეთში ამ ბოლო ხანს დიდი ამბები ხდება. მთელი ალბანეთი ხელ-ახალმა აჯანყებამ მოიცვა, რომელიც წარსულ აჯანყებაზე გაცილებით უფრო ძლიერი და ერთსულოვანია. მთავრობამ მოძრაობის ჩასაქრობათ ჩვეულებისამებრ რეპრესიებს მიმართა: მან აჯანყებულთა სოფლებსა და ქალაქებში ჯარები გაგზავნა, ურჩ პროვინციას სამხედრო ძალა დაუპირდაპირა, ე. ი. იგივე გაიმეორა, რაც ამ ერთი წლის წინათ იმავე ალბანეთის წინააღმდეგ მოიმოქმედა. მაშინ შეიარაღებული ძალის შემწეობით და აგრეთვე რეფორმების დაპირებით აჯანყება შეაჩერა, მარა არ მოუსპია, რასაც ნათლათ ამტკიცებს ახლანდელი მოძრაობა. მიუხედავათ იმისა, რომ ოსმალეთი დღეს იტალიასთან ომშია ჩაბმული, შეიძლება საქმე ისევ ძველებურათ დაბოლავებულიყო, რომ ერთს მეტათ სერიოზულ გარემოებას თავი არ ეჩინა: ოსმალეთის მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო აღმოჩნდენ არა მარტო ალბანელები, არამედ ჯარის ბევრი ელემენტიც. აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარის ნაწილები, განსაკუთრებით აფიცრობა, სოლიდარობას უცხადებენ ალბანელებს, ხშირათ გარბიან მომქმედ ჯარიდან და უერთდებიან ამბოხებულთა რაზმებს: დეზერტირობამ იმდენათ ფართო ხასიათი მიიღო, ჯარის უკმაყოფილო ელემენტები იმდენათ ძლიერათ გრძნობენ თავს, რომ მოითხოვეს სამინისტროს გადაყენება და „ერთობისა და პროგრესის“—ამ ხელმძღვანელი პარტიის სახელმწიფო საქმეთაგან ჩამოშორება. როგორც დეპეშებიდან ვიცით, ზოგი მინისტრები უკვე გადადგენ სამსახურიდან და მომავალშიც მოსალოდნელია ცვლილებები მართველ წრეებში.

მარა კითხვა იბადება: უშველის ამნაირი ზომები ოსმალეთის აწეწილ-დაწეწილ შინაურ და გარეშე საქმეებს? მოსპობს მუდმივ ანარქიას და ერთხელ და სამუდამოთ ქვეყანას ჩააყენებს მოქალაქობრივ და პოლიტიკურ განვითარების ნორმალურ კალაპოტში, თუ არა?

რომ ახალგაზდა ოსმალთა პოლიტიკური ძალა დაეცემა—ეს ეჭვს გარეშეა, რომ ალბანელების ზოგიერთ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებენ, ან, უკეთ რომ ვთქვათ, იძულებული გახდებიან დააკმაყოფილონ—ესეც ცხადია. მარა საეჭვოა, რომ ყველა ამ ზომებმა განკურნოს დაავათმყოფებული ოსმალეთის სახელმწიფო ორგანიზმი.

რევოლიუციის შემდეგ თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბლმოსავლეთის „ავათმყოფი ადამიანი“, როგორც ოსმალეთს უწოდებენ, გამოთელდებოდა და მოაწესრიგებდა, როგორც შინაურ, ისე გარეშე საქმეებს. რევოლიუციამ ხომ ერთი დაკვრით დასცა ძველი რეჟიმის მატარებელი აბდულ-ჰამიდი! მარა საქმე იმაში იყო, თუ ვინ დაიკავა ძველი წყობილების დამცველთა ადგილი? ოსმალეთის რევოლიუციის თავისებური ხასიათი იმაში მდგომარეობდა, რომ ის მოახდინა არა ხალხმა, არამედ ჯარმა აფიცრობის ხელმძღვანელობით. მასა, დემოკრატია მასში მონაწილეობას არ ღებულობდა—და ეს იყო რევოლიუციის სუსტი მხარე, რომელსაც შემდეგ აუცილებლათ თავი უნდა ეჩინა. ახალგაზდა ოსმალები, რომელთაც ხელში ჩაუვარდათ სახელმწიფო ძალა-უფლება, არ ეკუთნოდენ ახალ კლასს, ახალ სოციალურ კატეგორიას. ისინი იმავე გაბატონებული კლასების სისხლი და ხორცი იყვენ, რომლებზედაც ეყრდნობოდა აბდულ-ჰამიდის სისტემა. ოსმალეთის ცხოვრების თავისებურმა პირობებმა აამოძრავა ისინი აბდულ-ჰამიდის პიროვნების წინააღმდეგ; ის დასცეს, მარა ამით არ დაცემულა სისტემა. ეს ნათლათ დამტკიცდა ახალგაზდა ოსმალთა მართველობის დროს. მათ დაიწყეს იქიდან, რომ დაამყარეს პარლამენტარიზმი და დააბოლავეს მით, რომ თავისივე საკუთარი ხელით დაასამარეს ის; დასცეს აბსოლიუტიზმი და შემდეგ თვითონვე შეუწყვეს ხელი სულთანის უფლებათა გაფართოებას. ისინი თავის მოღვაწეობაში ეყრდნობოდენ გაბატონებულ კლასებს და სდევნიდენ დემოკრატიის მცირედ თაოსნობასაც კი. მათ ჯავრისნული ომი გამოუცხადეს მუშათა მოძრაობას, რომელიც ის—იყო მაშინ იწყებოდა ოსმალეთში. მთელი ოთხი წლის განმავლობაში პარლამენტსა და მთავრობაში გაბატონებულ ახალგაზდა ოსმალთ ერთი თვალსაჩინო სოციალური ზომაც კი არ განუხორციელებიათ, არ შეუცვლიათ გადასახადების სისტემა, არ გაუტარებიათ ცხოვრებაში რეფორმები, რომლებიც ოღნავ მაინც შეუმსუბუქებდენ ცხოვრების მძიმე ტვირთს სოფლისა და ქალაქის დაბალ კლასებს და მით დაინტერესდებოდენ ახალი წყობილების ბედიღბალში. მართვა-გამგეობის ძველი მეთოდით ცდილობდენ ისინი აგრეთვე ნაციონალური ურთიერთობის რთული საკითხის გადაჭრას.

ოსმალეთის ნამდვილი განახლებისათვის კი საჭირო იყო ფართო რეფორმების განხორციელება, სახელმწიფოს სრული დემოკრატიზაცია. მხოლოდ ეს შეაკავშირებდა ერთ მთელ ორგანიზმათ ოსმალეთის გათიშულ პროვინციებს და პოლიტიკურ სარბიელზე გამოიყვანდა დემოკრატიას. მხოლოდ ეს შემატებდა ძალას ახალ რეჟიმს და ქვეყანას სწრაფი ნაბიჯით გააქანებდა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ წარმოების გზაზე.

მარა ახალგაზდა ოსმალთა პარტიას ამის არც ნიჭი ქონდა და არც სურვილი. მან ვერ დააკმაყოფილა ქვეყნის არსებითი მოთხოვნილებები და სწორეთ ამით აიხსნება სახელმწიფო ცხოვრების მუდმივი რყევა, მუდმივი ანარქია შინაურსა და გარეშე საქმეებში. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ერთად-ერთი გზა, როგორც ვთქვით, დემოკრატიის ბღორძინებაა. ახლანდელი მოძრაობა ისევ გაბატონებული კლასების წრეებში ტრიალობს, ამ კლასების ერთი ნაწილი ებრძვის მეორეს ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ. ამიტომ უკმაყოფილო ელემენტების ანუ ჯგუფების გამარჯვება კიდევ არ მოასწავებს ახალი პრინციპების გამარჯვებას. სულ სხვა იქნებოდა, რასაკვირველია, რომ ოპოზიციაში დაბალი კლასები და მისი პოლიტიკური პარტიები იდგეს.

## რუსეთის პრესა.

ჩინეთის მთავრობის გაჭირვებულ მდგომარეობას „Новое Вр.“ მადაზე მოუყვანია. ის ურჩევს რუსეთის მთავრობას უფრო ენერგიულათ იმოქმედოს მონგოლეთში და ყური არ ათხოვოს იმ გარემოებას, თუ რას იტყვიან ამაზე ჩინეთში. ჩინეთის მთავრობასო—სწერს გაზეთი—უფლება აქვს თავისუფლათ იმოქმედოს მხოლოდ შიდა ჩინეთში. რაც შეეხება მონგოლეთს და სხვა განაპირა კუთხეებს, აქ ჩვენი ინტერესი მოითხოვს—ის შეზღუდულ იქნასო.

„პეკინის მთავრობას შეუძლია თავისი სურვილისამებრ მოიქცეს მხოლოდ საკუთარ ჩინეთში, რომელიც განცალკევებულია დანარჩენ ქვეყნიდან დიდი კედლით. მარა ჩვენ არ შეგვიძლია მას მივაკუთნოთ უფლება ველური ანარქია შეიტანოს ჩვენ მოსაზღვრე ოლქებში, რომლებშიაც გვაქვს სამრეწველო და სავაჭრო ინტერესები. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ რუსეთის ელჩმა პეკინში უნდა მოსთხოვოს მთავრობას არ გაგზავნოს მონგოლეთში დამსჯელი ექსპედიცია... ამასთან რუსეთის დიპლომატიამ უნდა მიიღოს რაც შეიძლება სწრაფი ზომები, რომლებიც მონგოლებს საშვალებას მისცემენ დამოუკიდებელ არსებობისა“.

როგორ დამოუკიდებლობას ეტრფის „Нов. Вр.“, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. მას აინტერესებს არა მონგოლეთის ეროვნული დამოუკიდებლობა, არამედ სულ სხვა რამე, რასაც იქვე აშკარავებს: მონგოლეთში მდიდარი ადგილებია და ადვილათ გამდიდრება შეიძლებაო.

დაბოლოს გაზეთი კვლავ მიმართავს რუსეთის დიპლომატიას საყვედურით: რაღას უცდით, მონგოლეთი თვითონვე გვეპატიჟება, მივიდეთ და ვისარგებლოთ შემთხვევითო. მას ვერ გაუგია, რაღა საჭიროა ამას შემდეგ ბევრი ლაპარაკი და სიფრთხილე.

„თათბირობენ, კამათობენ, ბჭობენ, თხზავენ ოქმებსა და ჟურნალებს. რა საჭიროა აქ ლაპარაკი?“

არაფერი! ახალი ავანტიურა ხალხს დააწვება ზურგზე და არა „Нов. Вр.“-ს გმირებს!

## სახელმწიფო დუმის ამრჩეველთა საყურადღებოთ.

ქალაქის ყველა მცხოვრებს, ვისაც კი 25 წელი შესრულებია და თავის სახელზე ერთი წლის განმავლობაში ისეთი ბინა ქონებია ნაქირავები, რომელსაც ცალკე შესავალი, სამზარეულო და თუნდაც ერთი ოთახი ქონდა, ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს დუმის არჩევნებშიო.

ვინც ბინის გადასახადს არ იხდის ან მარტო მიმდინარე 1912 წ. გადიხადა, ის მოვალეა, რომ დროზე შეუდგეს საარჩევნო სიებში შეტანის თადარიგს; უნდა გამოცხადდეს ქალაქის „უპრავაში“ (12 ამ თვემდე ქუთაისში, 8 აგვისტომდე თფილისში და სხვა) და ითხოვოს საარჩევნო სიაში შეტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სიაში არ შეიტანებენ და არჩევნების უფლებაც დაეკარგებათ.

თუ ბინის დამქირავებელს არ შესრულებია 25 წელიწადი, ან არ შესრულებია ბინის დაქირავების საჭირო ვადა—ერთი წელიწადი, მაგრამ ორივე ეს ვადა სიების შედგენამდე და გამოქვეყნებამდე შესრულდება, მას არ ერთმევა არჩევნების უფლება, ხოლო დროზე უნდა განაცხადოს ეს გარემოება, სადაც ჯერ არის.

განცხადება ეხლაც შეიძლება და მომავალშიაც, ვიდრე სიები გამოქვეყნდებოდეს (ქუთაისში ეს მოხთება 12 კვირიკობისთვეს შემდეგ, თბილისში კი 8 აგვისტოს), შემდეგ კი დაგვიანებული იქნება. ისინი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 25 წელი და არც ბინის ვადა, ან ერთი მათგანი და ამის გამო ეხლავე ვერ მოითხოვენ სიებში შეტანას, უნდა ცდილობდენ, რომ ეს დრო არ გაუშვან ხელიდგან შემდეგ, როცა ერთი წლის ვადა გავა. განცხადება უნდა შეტანილ იქნას ქალაქის თავის სახელზე საქმე დღით დილის ათ საათიდან. აი განცხადებების ფორმა ვქირაობ რა ერთი წლის განმავლობაში ამ და ამ საპოლიციო ნაწილში, ამდა ამ ქუჩაზე ბინას, გთხოვთ შემრიცხოთ სახელმწიფო დუმის საარჩევნო სიაში. ბოლოში მიეწერება მთხოვნელის სახელი, გვარი და რიცხვი.

განცხადებების დროს თან უნდა წადგენილ იქნას მოწმობა, ერთი წლის განმავლობაში როდის გაქვთ დაქირავებული.

ასეთ მოწმობით გამოდგება ბინის დაქირავებისას წოდებული კანტრაკტები, თუ მისი შესრულების დროს ხელის მოწერა დაამტკიცა ან ნოტარიუსმა და ან ვინმე მართებლობის პირმა.

ვინაიდან ასეთი კანტრაკტები ძვირათ იკვრება და ჩვეულებრივ შინაურულ პირობებით, ან კიდევ უბრალო მოლაპარაკებით ხთება ბინის დაქირავება, დამქირავებელთა უმეტესობას პოლიციიდან მოუხდება მოწმობის აღება. პოლიციას, უნდა წარედგინოს ან ბინის წიგნი, თუ ასეთი მოიპოვება, ან სახლის პატრონის ან მისი მოადგილის მოწმობა, რომ ერთი წლის განმავლობაში ბინას ქირაობდა. დასახელებულ დოკუმენტების შემოწმების შემდეგ ბოქაული იძლევა ქალაქის გამგეობაში შესატან შესაფერ მოწმობას. არც ქალაქის გამგეობაში შესატან განცხადებას და არც პოლიციის მერ მიცემულ მოწმობას საგერბო გადასახადი არ ესაჭიროება.

ვინაიდან ყველაფერი ეს კარგა დროს მოითხოვს, მცხოვრებნი ვალდებულნი არიან ეხლავე შეუდგენ თადარიგს. როგორც ქალაქის გამგეობაში, ისე პოლიციაში შესატანი განცხადება უნდა რუსულ ენაზე დაიწეროს.

# ახალი ამბები.

**მეოთხე ხიდი ქუთაისში.** მეოთხე ხიდის აგების შესახებ არჩეულმა კომისიამ ქალაქის თავის ბ-ნ **ილია ჩიქოვანის** და ინჟინერი ბ-ნ **მიხაილოვის** თანდასწრებით დაათვალიერა რიონის გაღმა-გამოღმა ნაპირები და აირჩია საუმჯობესო ალაგი ხიდის ასაგებათ. გეგმის და ხიდის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა ქალაქის თავმა დაავალა ინჟინერ მიხაილოვს, რომელმაც ორი კვირის განმავლობაში უნდა წარუდგინოს კომისიას.

✦ **პარკის ფასი აიწია.** დღეს ფუთი პარკი ქუთაისის ბაზარზე ფასობს 13 მანეთსა და 30 კაპიკს. პარკის შემოტანამ იკლო. თუ ამ ოთხი—ხუთი დღის წინათ ქუთაისის ბაზარზე შემოქონდათ 600—700 ფუთი პარკი, დღეს შემოსული პარკის რაოდენობა ორას ფუთს არ შორდება.

✦ ამ დღეებში ქუთაისის საპყრობილედან აგზავნიან რუსეთის საკატორღო ციხეში პოლიტიკურ კატორღელ ტუსაღს, გიგა ჯუღელს. ჯუღელს სასამართლოსაგან ოთხი წლის კატორღა ქონდა მისჯილი.

✦ როგორც გაზეთ „თემს“ ატყობინებენ ს. ვახაში (შორაპნის მაზრაშია) თავად გიორგი ამილახვარის მამულში, სახელდობ სააბაშიოში ნავთის კარგი ნიშნები აღმოჩენილა.

✦ ყოველდღიური ქართული გაზეთის „ბათუმის გაზეთის“ გამოცემა დროებით შეჩერდა, როგორც რედაქცია აცხადებს, მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო.

✦ როგორც გავიგეთ, ქუთაისის გუბერნიის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობის (ს. კუხში) საქმეებს მთავრობა რევიზიის გაკეთებას უპირებს.

✦ ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობას განზრახული აქვს მომავალ სეზონში ქართულ მსახიობთა დასის რეჟისორათ მოიწვიოს მიშა ქორიძე, დასის პრემიერშათ ქ-ნი ნინო ჩხეიძე. ბ-ნ ქორიძეს და ნინო ჩხეიძეს ზემო აღნიშნულ თანამდებობაზე, როგორც ვიცით, თფილისშიც ეპატიჟებიან.

✦ ამ დღეებში ქუთაისის ციხეში მჯდომი პოლიტიკური ტუსაღი მელიტონ გოგიჩია სხვებთან ერთად უნდა გაეგზავნათ რუსეთის საკატორღო ციხეში, მარა ვინაიდან მას ახალი ლიტერატურული საქმე აღმოაჩნდა, მისი გაგზავნა შეაჩერეს.

✦ ბოქაული კედია ხონიდან გადაიყვანეს ოზურგეთსი, მის ალაგს დანიშნეს ოზურგეთის ბოქაული კუხალაშვილი.

✦ ნუხაში პარკს ერთობ კარგი ფასები აქვს. როგორც იქიდან იუწყებიან— პირველი ხარისხის ნედლი პარკი ფასობს ნუხაში 18—19 მანეთი, მეორე ხარისხის 14—15 მან., მესამეში 12—13 მან.

✦ **სამ-კაპიკიანი ჯარიმა.** ხონის საქალებო პროგიმნაზიის უფროსს ქ-ნ სოლოგუბს, როგორც იქიდან გვაცნობებენ, სამ კაპიკიანი ჯარიმა შემოუღია. ჯარიმას ახდევინებს იმ მოწაფე ქალებს, ვინც სკოლაში, ანუ სკოლის გარეთ ქართულათ დაილაპარაკებს. ორიგინალური სასჯელია!

✦ გეგუთის ქუჩის მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან გზის უვარგისობისაგან. გასულ წელს ამ ქუჩის მკვიდრთ თხოვნა მიუციათ თვითმმართველობისათვის. გამგეობას აღუთქვამს მცხოვრებთათვის გზების გაკეთება, მარა ჯერ-ჯერობით დაპირება არ შეუსრულებია. საჭიროა გამგეობამ ახლა მაინც მიაქციოს ყურადღება მკვიდრთა ხვეწნა-მუდარას.

✦ **ელიგულაშვილის მოკვლის გამო.** პირველ ივლისს მთავრობის განკარგულებით ებრაელების რაბინმა შეკრიბა სალამოს 6 საათზე ებრაელები სალოცავში დასაფიცებლათ ელიგულაშვილის მკვლელობის შესახებ. შეკრებულთა რიცხვი აღემატებოდა 500 კაცს. სანამ დაფიცებას შეუდგებოდენ, რაბინმა ებრაელებს გამოუცხადა შემდეგი: თქვენ დღეს შეკრებილი ხართ მთავრობის განკარგულებით დასაფიცებლათ, თუ რა იცით და ან გაგიგონიათ ელიგულაშვილის მკვლელობის შესახებ უნდა მოახსენოთ მთავრობას, ამის შემდეგ აიღო დაბადება (ათი მცნება) და დააფიცა ყველანი. სალოცავში დაფიცების დროს იყვნენ: პოლიციმეისტერი, ბოქაული და სხვა პოლიცელები.

✦ **მნათეს არჩევა.** კვირას, პირველ ივლისს, წირვის შემდეგ მოხთა მწვანეყვავილის მთავარ ანგელოზის ეკლესიის მნათეს არჩევა; არჩეულ იქმნა ი. ლორთქიფანიძე.

✦ **პურის ნიხრი.** 30 ივნისს სხდომაზე ქალაქის საბჭოს არაჩვეულებრივმა კრებამ პურზე დაამტკიცა შემდეგი ნიხრი: პირველი ხარისხის პური უნდა გაიყიდოს 13 კაპ., მეორე 11 კაპ., მესამე 10 კაპიკათ, დღემდე იყიდებოდა პირველი ხარისხის პური 15 კ. მეორე 13 კ. და მესამე 11 კაპ. თავის დადგენილება საბჭომ გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლათ.

✦ ქუთაისის წითელი ჯვრის საზოგადოების გამგეობა განუზრახავს მოაწყოს ქუთაისში მოწყალე დათათვის თეორეტიული კურსები. გამგეობა თხოვს ქალაქის თავს კურსებისათვის ბინა დაუთმოს.

✦ რედაქციამ მიიღო ანტონ ფურცელაძის წიგნი გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ „ბრძოლა საქართველოს მოსასპობათ და საქართველოს შესაერთებლათ. ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“.

## პროვინციის ქრონიკა.

**კავკავი.** ივნისის პირველ რიცხვებში ნიკოლოზის სახელობის ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებლის დარბაზში სახალხო სკოლების დირექტორის ბ-ნი ბელიევის თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქის პირველ დაწყებით სკოლების გამგეთა კრება. კრების განსახილველ საგანს შეადგენდა 26 აგვისტოს სალიტერატურო დილის გამართვა ნაპოლეონის ჯარის შემოსევიდან 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად და მოსწავლეთათვის შესაფერისი შინაარსის ბროშურების დარიგება საიუბილეო დღეს, რისთვისაც ქალაქის თვითმართველობას გადაუდვია 400 მან. კრებამ დაადგინა: 25-ს აგ. გადახდილ იქნას თვითეულ სკოლაში პანაშვიდი, დაევალოს სკოლების გამგეთ განუმარტონ მოსწავლეთ იუბილეს შინაარსი და მოკლე ისტორია სამშობლოს ომისა... გაიმართოს 26 აგვისტოს ქალაქის თეატრის დარბაზში სალიტერატურო დილა ყველა სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით, დაურიგდეს მოსწავლეებს ბროშურები სამშობლო ომის შესახებ. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ერთმა „ჭეშმარიტმა“ მასწ.-ქალმა ურჩია კრებას პურიშკევიჩის ბროშურების შეძენა და მოწაფეთათვის დარიგება. მაგრამ სასიამოვნოთ „ერთგული“ ქალის წინადადებამ სამართლიანი პროტესტი გამოიწვია... ეს ქალი არსებულ ჭეშმარიტ რუსთა კავშირის სკოლის მასწავლებელთა კორპორიციას წევრთაგანი აღმოჩნდა...

—

— აქაური გიმნაზიის დირექტორის პერედერის გადაყვანა ქუთაისს ძლიერ საწყენათ დარჩა მშობელთა წრეს. წრემ შუამდგომლობა აღძრა მზრუნველის წინაშე; იგი თხოულობდა პერედერის დატოვებას, მაგრამ მზრუნველმა წრის თხოვნა უყურადღებოთ დატოვა.

—

—15 ივლისს ქართულ სკოლის სასარგებლოთ კომერციულ საკრებულოს საზაფხულო დარბაზში და ბაღში გაიმართება სეირნობა სალიტერატურო განყოფილებით.

## მილიტარიზმის შედეგი.

—

ე. წ. „შეიარაღებული მშვიდობიანობა“ ყოველ წლობით აუარებელ სიმდიდრეს ნთქავს. ყველა სახელმწიფოში წლითიწლობით მატულობს სამხედრო ხარჯები. დიდი და პატარა სახელმწიფოები ერთმანეთს ეჯიბრებიან შეიარაღებული ძალების გამრავლება—გაუმჯობესებაში.

ინგლისის საზღვაო უწყებამ ამას წინათ გამოაქვეყნა ცნობები შესახებ იმისა, თუ როგორ იზდება სამხედრო ფლოტის ხარჯები. თუ ავიღებთ 1901—1902 და 1911-1912 წლებს და ერთმანეთს შევადარებთ-აი რას დავინახავთ: ინგლისში 1901-1902 წ. დაუხარჯავთ ფლოტზე $130^1/_2$ მილიონი, ხოლო 1911-1912 წ. წ.-400 მილ. საფრანგეთში იმავე წლებში დახარჯულა 30 და 160; გერმანიაში $120^1/_2$ და 220 მილ; შეერთებულ შტატებში $100_1/_2$ და 260 მილ,, რუსეთში 30 და 130 მილ. და იაპონიაში 40 და 80 მილ. როგორც ამ ციფრებიდან სჩანს ხარჯები ყველგან ერთი-ორათ და ერთისამათ გაზდილა.

ზღვაზე პირველობა ინგლისს ეკუთნის. მისი პრინციპი ასეთი იყო: ინგლისის ფლოტი ორ უძლიერეს სახელმწიფოს ფლოტზე უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო. მარა უკანასკნელ ხარჯებში გერმანია ცდილობს მას დაეწიოს. და აი იწყება შეუჩერებელი ფლანგვა ხალხის ფულებისა. სხვა სახელმწიფოებიც უყურებენ რა ამათ შეიარაღებას ზღვაზე, შეძლებისდაგვარათ ცდილობენ უკან არ ჩამორჩენ. ინგლისის ფლოტი ამ ჟამათ შედგება 59 სამხედრო გემებისგან (ჯავშნოსნებისა და ჯავშნიანი კრეისერებისაგან). შეერთებულ შტატებს ყავს 40 სამხ. გემი, გერმანიას 35, საფრანგეთს 27, ავსტრიას 12, იტალიას 8, რუსეთს 9. აქ ნაანგარიშევი არ არის, რასაკვირველია, პატარა სამხედრო გემები.

ზემო მოყვანილ ციფრებიდან სჩანს, რომ რუსეთი თითქმის ყველაზე უფრო სუსტია საზღვაო შეიარაღებით. როგორც ვიცით დუმამ 500 მილიონი მისცა საზღვაო სამინისტროს სამხ. გემების ასაგებათ; მიუხედავათ თანხის სიდიდისა, რუსეთი ევროპის სახელმწიფოებს მაინც ვერ დაეწევა ამ მხრივ, თუ კიდევ ხელახალი მილიონები არ დახარჯა. ცხადია, ეს 500 მილიონი მხოლოდ დასაწყისია.

## ლენის ოქროს მაღაროებში.

(„რუსკოე სლოვო“-დან).

პეტერბურგში ლენის მუშების ინტერესთა დამცველ ვექილებისაგან მიიღეს ბოდაიბოდან გამოგზავნილი შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ეს არის დგება გადამწყეტი დღეები. ლენის ამხანაგობამ დღეს უნდა მოგვცეს პასუხი იმ პირობის პროექტზე და ახალ შეფასებებზე, რომელნიც გამოიმუშავა სენატის მიერ დანიშნულმა რევიზიამ მუშების წარმომადგენელთა მონაწილეობით. გუშინ ამხანაგობის დირექტორმა აცნობა სენატორ მანუხინს, რომ გამგეობა თანახმაა [illegible] გაფიცულნი და შეეკრას მათ პირობით 1913 წ. სექტემბრამდე. როცა ლენის ამხანაგობის მიერ შედგენილი ახალი შეფასებები განიხილეს სენატის რევიზიის წევრებმა მუშების წარმომადგენელთან ერთად, გამოირკვა, რომ ამხანაგობა ფაქტიურათ 45 ათასი მანეთით ამცირებს ხელფასს, ვიდრე დაპირებული იყო. ამ გარემოებამ ამხანაგობა იძულებულ ყო კიდევ ცოტათი წაემატებია ხელფასი: ზოგი დარგის მუშებს 3 კაპიკი მიუმატეს, ზოგისას შაური, 2 კაპ. და ასე კიდევ ხელფასზე მიმატებული შეიქნა 40 ათასი მანეთი. მუშების უმეტესობისათვის ხელფასი. 12% გადიდდა.

პირობის ახალ პროექტში შეტანილია მუშების თითქმის ყველა მოთხოვნილება, სხვათა შორის განსაკუთრებულ პირობებში, მძიმე შრომის დროს ექვსი საათის სამუშაო დღე. ეს გარემოება თავათ ამტკიცებს, რომ მუშების მიერ გაფიცვის დაწყებისას წამოყენებული მოთხოვნილებანი სრულიათ სამართლიანი და ცხოვრებისაგან ნაკარნახევი იყო. ამხანაგობის პასუხისა და პირობებზე ხელის მოწერის შემდეგ დაწვრილებით გაცნობებთ ახალი კანტრაქტის შინაარსს.

გუშინ მუშათა წარმომადგენლებმა სენატორ მანუხინს სთხოვეს, რომ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მუშათა სხვა და სხვა კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. სთხოვეს სახალხო სახლების აგება, შკოლების რიცხვის გამრავლება და შემცირება არაყით ვაჭრობისა. მანუხინმა მთხოვნელებს ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა აღუთქვა. არაყის სმა გაფიცვებამდე მუშებისათვის ერთად ერთი გასართობი საშვალება ყოფილა. გაფიცვების დროს არაყით მოვაჭრე სახელმწიფო დუქნები დაიხურა და დღემდის არ გაღებულა; ამ გარემოებას ერთობ კარგი შედეგები მოყოლია მუშებისათვის, როგორც ჯანმრთელობის მხრივ, ისე ზნეობრივის. და მომავალში ისევ რომ გაჩაღდეს არაყით ვაჭრობა, დიდი დანაშაული იქნება.

ეს მეოთხე თვეა, რაც მუშები მოთმინებით ელიან კონფლიქტის დასრულებას და თან შესაფერ პასუხს აძლევენ ამა თუ იმ მოვლენას.

გუშინ მაღაროებიდან გააცილეს დახოცილ მუშათა ქვრივ-ობლები. შემაძრწუნებელი სცენები იყო დახოცილთა საფლავებზე პანაშვიდის გადახდისას. აუარებელი მუშები იყვნენ. ქვრივ-ობლებს წასვლისას ადვოკატები ფულებს ურიგებდენ. მუშებს გადაწყვეტილი აქვთ, რომ

# ფელეტონი

## რა ვქნა...

(ძღვნათ თავ. ***-ს ასულს ზ-ს.)

რა ვქნა... რა ვქნა, ჩემო კარგო... აბა, როგორ შეგიყვარო?..
სიცოცხლეო, მთლად დამიშრა იმედის და რწმენის წყარო.
...სიო ჰქროდა... არე-მარეს შუაღამის რთავდა ბინდი.
მე დავემხე ობლად შენს წინ და სიმწარით ავქვითინდი.
ამ ქვითინით ჩემი გული სიყვარულს კი არ ეძებდა—
სულ სხვა გრძნობა მსწამლავდა და სულ სხვა ფიქრი აკვნესებდა:
გრძნობა, რომ ეს სიყვარულიც სიძულვილათ შეიცვლება.
და ფიქრი—რომ სიყვარული მუდმივი არ შეიძლება.
რა ვქნა... რა ვქნა, ჩემო კარგო, აბა როგორ შეგიყვარო...
სიცოცხლეო, მთლად დამიშრა იმედის და რწმენის წყარო.

გ. ტაბიძე.

## ვიქტორ ადლერი

(მისი დაბადებიდან 60 წლის იუბილეს გამო)

**კარლ კაუცკის მოგონება.**

11 ივნისს შესრულდა 60 წელი, რაც ვიქტორ ადლერმა პირველათ იხილა ქვეყნის სინათლე. ერთი შემთხვევა უფრო ღირს სახსოვრათ ხდის ჩემთვის ამ დღეს. თითქმის ამავე დღეს მე შემიძლია ვიდღესასწაულო მასთან გაცნობის 30 წლის თავი; ეს გაცნობა მეგობრულ კავშირათ გადიქცა მთელ ჩვენს სიცოცხლეში.

თუმცა ჩვენ ორივე ერთ ქალაქში, პრაგაში, დავიბადეთ, ვიზრდებოდით ორივე ქალ. ვენაში და ვტრიალებდით ერთგვარ საზოგადოებრივ სფერაში, თუმცა ჩვენ გვყოფდა უმნიშვნელო განსხვავება წლოვანებაში, თუმცა ჩვენ ერთნაირათ გვაფრთოვანებდა რევოლიუციონური ენერგია და პროლეტარიატისადმი სიყვარული, მიუხედავათ ყველა ამაებისა საჭირო დარჩა არა ერთი და ორი ათეული წელი, რომ ჩვენ პირადათ დავმეგობრებულიყავით. ნამდვილი ავსტრიელები ვიყავით, მარა ჩვენ ორივეს ერთნაირათ ძვალრბილში გამჯდარი გვქონდა ნაციონალური მისწრაფებანი, მარა სწორეთ ამ უკანასკნელმა ჩვენ მიგვიყვანა სხვა დ სხვა ბანაკში: ის ნემეცების, მე ჩეხების. აქედან მე უფრო მოკლე გზით მივედი სოციალიზმამდე, ვინემ ადლერი, თუმცა მას ჩემზე ადრე დაებადა ინტერესი სოციალისტურ მოძრაობისადმი და ჩემზე წინ დაიწყო მეცადინეობა სოციალურ კითხვებზე.

ჩვენი პოლიტიკური აზროვნება მესამოცე წლებში იფურჩქვნებოდა 1859 და 1866 წლების დამარცხების გავლენის ქვეშ. ავსტრიის დაშლა გვეგონა ძლიერ ახლოს იყო, და ვფიქრობდით, რომ ერების ინტერესები, რომელიც ჩვენ გვატოლებდა, მოითხოვდა ამ დაშლას. ნაციონალური აზროვნება მისი უფრო საყვარელი სახით იყო მაშინ ანტიპატრიოტული და ანტიდინასტიური—ყოველ შემთხვევაში ეს ჩეხებს უფრო ემჩნეოდა, ვინემ ნემეცებს. საინტერესოა ის, რომ 1866 წელს ბისმარკი უფრო პოპულიარული იყო ჩეხების თვალში, ვინემ ავსტრიელ ნემეცებისა. ის უკანასკნელთ დევნიდა გერმანიიდან და უმცირესობაში ტოვებდა ავსტრიაში უნგრელებსა და სლოვიანებთან შედარებით. და სწორეთ ის ბისმარკი, რომელიც არავითარი რევოლიუციონური საშვალების წინაშე არ ჩერდებოდა, თუ კი ის რაიმე სარგებელს მოუტანდა მას, ეარშიყებოდა ჩეხების დამოუკიდებელ სამეფოს იდეიას.

ყოველივე ეს უცბათ შეიცვალა, როცა პრუსიამ 1870 წელს ომი გამოუცხადა საფრანგეთს. ბისმარკი ნემცების სათაყვანებელ ნაციონალურ ღმერთად გადაიქცა, როგორც ახლათ შექმნილ იმპერიის შიგნით, ისე მის გარეთაც' ხოლო გოგ ენცოლერები გახდენ ნემეცთა გაერთიანებაზე ოცნების რეალურ გამომხატველათ. სამაგიეროთ ნემეცებისადმი სიძულვილმა სლოვიანებს გაუღვივა სიმპატიები ფრანგებისა და მათი რესპუბლიკისადმი. ხოლო მათ ყველაზე უფრო ენერგიულ და თავდადებულ პიონერებათ პარიზის პროლეტარები გამოდიოდენ.

ამნაირათ ჩეხურმა ნაციონალიზმმა აღმიძრა მე ინტერესი კომუნარების, სოციალისტური თეორიებისა და ინტერნაციონალიზმისადმი. ჩემ სოციალისტურ აზროვნებას პირველათ გზა გაუხსნა ფრანგულმა სოციალიზმმა და არა ნემცებმა.

მარა ამავე პირობებმა ადლერი დროებით დააშორა სოციალიზმს, თუმცა იგი პერნერსტოფერთან ერთად ჯერ კიდევ მესამოცე წლების მიწურულში დაუახლოვდა სოციალისტებს, კითხულობდა ვენის მუშათა კლუბში ლექციებს და ცხოველ მონაწილეობას ღებულობდა ფულების შეკრების საქმეში, როცა 1869 წლის 15 მაისის გრანდიოზულ დემონსტრაციას შედეგათ მოყვა მასიური ჭერა, რამაც დიდი მსხვერპლი მოითხოვა პარტიისაგან. 1870 წლის შემდეგ ადლერში ისევ ნემეცური ნაციონალიზმი იმარჯვებს, მარა არა დიდი ხნით.

ანტაგონიზმი ბისმარკსა და პროლეტარიატის შუა მეორმოცდაათე წლებში თანდათან მწვავდებოდა და იმპერიის გარეშეც კი თანდათან ძნელი ხდებოდა ორივე მებრძოლთა მხარეზე ყოფნა. მასთან გაკეთილშობილებულ ნაციონალიზმისათვის ბისმარკი ნაკლებად მიმზიდველ ძალას წარმოადგენდა. პირიქით ნემეცების სოციალდემოკრატიას თანდათან მეტი სიმპატია უნდა დაემსახურებია.

გაკეთილშობილებულ ნაციონალიზმში მე ინტერნაციონალიზმს როდი ვგულისხმობ. ის, ვინც ინტერნაციონალურათ აზროვნობს, თანასწორ ინტერესსა და სიყვარულს გრძნობს ყველა ერებისადმი, თუმცა პრაქტიკულათ ის არჩევს ჩაერიოს იმ ერის საქმეში, რომელ ერშიც მას უხდება ცხოვრება და მუშაობა. პირიქით, იმათთვის, ვინც ნაციონალურათ აზროვნობს, თავისი ერი ყველაზე უფრო მაღლა დგას და ის თავის უმთავრეს მიზნათ ისახავს კიდევ უფრო აამაღლოს იგი. ტლანქ, პრიმიტიულ ნაციონალიზმათ მე მიმაჩნია ის ნაციონალიზმი, რომელიც თავის ერის აყვავებას ცდილობს სხვა ერთა დაჩაგვრით. გაკეთილშობილებული ნაციონალიზმი თავის ერის დიდებას ხედავს იმაში, რომ იგი მეცნიერული, მხატვრული, პოლიტიკური და ეკონომიური მხრით სხვებზე მაღლა იდგას და გამოიწვიოს მათში გრძნობა გაკვირვებისა და წაბაძვისა.

ასეთი იყო ნაციონალიზმი ნემეცების ინტელიგენციის უმრავლესობისა იმ დრომდი, სანამ ბისმარკი შესძლებდა მის გატაცებას ხმლის რეჟიმით. სწორეთ ასეთი დარჩა ადლერის ნაციონალიზმი, სანამ ის ინტერნაციონალისტი გახდებოდა.

ადლერმა პირი იბრუნა სოციალიზმისაკენ სოციალისტების წინააღმდეგ განსაკუთრებულ კანონების არსებობის პირველ წლებში. როცა 1882 წელს მე იმას გავეცანი, ჯერ იგი კიდევ არ იყო აქტიური სოციალდემოკრატი, მარა თეორეტიულათ ძალიან ახლოს იდგა მასთან.

ჩვენი პირველი შეხვედრა წუთიერი იყო. როცა მე დავამთავრე ჩემი შრომა „მცხოვრებთა გამრავლება“, მე უკვე დავიწყე მუშაობა გეხბერგის გამოცემებსა და ციურიხის „სოციალდემოკრატში“. 1882 წელს მე განვიზრახე თეორეტიული ჟურნალის დაარსება და რამოდენიმე თვე ვენაში გავატარე. სწორეთ ამ დროს გავეცანი მე ადლერს და მაშინვე დავაფასე იგი, როგორც ჭკვიანი, ძლიერ მცოდნე ადამიანი, რომელიც უდიდესი სიმპატიით ეპყრობოდა ჩვენ საქმეს. მარა მე სრულებით არ მიცდია, რომ შემომეყვანა იგი ჩვენს პარტიაში. ვინც ჩვენს ბანაკში შემოდის ბურჟუაზიული წრიდან, ის მხოლოდ მაშინ გახდება მისი გამოსადეგი წევრი, თუ მისი ენტუზიაზმი და სოციალიზმი ისე ძლიერია, რომ შეუძლია გადალახოს ყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის განყოფილება სავაჭრო სახლი ს. მ. კირაკოზოვი, ბ. გ. ოგანოვი და ამხ.
გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი
მთავარი განყოფილება ვლადიკავკაზში. განყოფილებები: ქ. თფილისში, გიორგიევსკში, ანდიჟში, პიატიგორსკში და გროზნაში.
С. М. КИРАКОЗОВЪ, Б. Г. ОГАНОВЪ и К°
მიღებულია დიდძალი საქონელი სატინა, ბატისტი, ჩესუნჩა, პარუსინა კისეია, ჩითი და სხვა ქსოვილები ახალმოდის არშიებით.
полученъ огромный выборъ Сатины батистовъ, чесунчи, парусины, кисеи, ситца и другихъ тканей съ модной каймой. 3—1—3

იმ ადგილას, სადაც მუშები დახოცეს, ძეგლი აავონ.

ლენის ამხანაგობის ადმინისტრაციის განახლება, რომელიც ჩვენ საჭიროთ მივიჩნიეთ, იმედი გვაქვს, რომ ასრულდება. მიდიან, როგორც ბელოზეროვი, ისე სხვა მაღალი მოსამსახურენი. მხოლოთ ეს დაარწმუნებს საზოგადოებას და მუშებს, რომ ბოლო ელება ბელოზეროვის რეჟიმს ლენის მადნებში.

ამ დღეებში გაანთავისუფლეს კირენის ციხიდან მუშების მიერ ამორჩეული რამდენიმე მუშა. დანარჩენი სამი ისევ ზის ბოდაიბოს ციხეში. ახლო მომავალში პროკურორი გადაწყვეტს მათი გამოშვების საკითხს. ვფიქრობთ, რომ რევიზიის მიერ გამოკვლეულ გარემოებათა შემდეგ მათ ციხეში გაჩერებას გასამართლებელი საბუთი აღარ აქვს".

— ოქროს მაღაროების უმთავრეს მართველ ბელოზეროვის წიგნებში რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ცნობილ როტმისტრს ტრეშჩენკოვს ამხანაგობისგან მიუღია ერთხელ ათასი მანეთი, მეორეთ 800 და მესამეთ 600; გარდა ამისა 4 აპრილამდი დღიურათ აუღია 15 მანეთი. ამ საბუთების მიხედვით, რევიზიამ დაადგინა ტრეშჩენკოვის სამართალში მიცემა.

# დეპეშები.

(პ. ღ. ს.).

1 ივლისი.

**რუსეთი.**

**ხარკოვი.** საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა, მიიღოს მონაწილეობა რომანოვების 300 წლის მეფობის სახსოვრათ გამართულ იუბილეზე. ამ მიზნით პატრიოტულ ბროშურების გამოსაცემათ და ხალხში გასავრცელებლათ გადასდო 11,000 მ. ამასთან გადაწყვიტა იშუამდგომლონ მთავრობასთან, რომ მომავალ 1913 წელს მოწვეულ იქნას ქ. მოსკოვში ერობათა წარმომადგენლების სიეზდი საერობო დაზღვევის საკითხის გამოსარკვევათ.

**ხერსონი.** სამაზრო საერობო გამგეობამ რომანოვების 300 წლის მეფობის სახსოვრათ გადაწყვიტა გადასდოს ათი ათასი მანეთი ახალი შკოლების გასახსნელათ.

**პეტერბურგი.** კაშგარის გენერალური ელჩი დეპეშით აუწყებს რუსეთის მთავრობას, რომ 8 ივნ. ქ. ხოტონის იქეთ, კაშგარიდან ოცი დღის სავალზე სოფ. ჩირაში ადგილობრივ მცხოვრებთა ერთმა ჯგუფმა, ჩინეთის მთავრობისგან გამოგზავნილ რევიზორის სიუნის და მისი სალდათების მონაწილეობით რუსეთის ქვეშევრდომის მაჰმადიანის საიდ ეფენდის სახლს ალყა შემოარტყა, რადგანაც სახლის პატრონმა რევიზორთან გამოცხადებაზე უარი განაცხადა და თავისი უარი იმით დაასაბუთა, რომ იგი ითვლება რუსეთის ქვეშევრდომათ. საიდის სახლში ამ დროს იყო ასამდე კაცი რუსეთის ქვეშევრდომი მუსულმანები. საიდმა სამჯერ მიმართვის შემდეგ, რომ ჩამოეშორებიათ მისი სახლისთვის თავდამსხმელთა ბრბო, იხმარა იარაღი; მოხდა შეტაკება და დამცემთაგანი მოკლეს ორი, მაშინ სიუნმა თავის სალდათებს უბრძანა, რომ დაეწყოთ სროლა საიდის სახლისთვის და წაეკიდებიათ ცეცხლი. ამ სახით იქ მყოფ რუსეთის ქვეშევრდომთა ერთი ნაწილი მოკლულ იქნა ტყვიით, დანარჩენი კი დაიღუპა ცეცხლში. რუსეთის ადგილობრივი ელჩის და ადგილობრივი დაოტაის ცნობით დახოცილთა და დაღუპულთა რიცხვი შეადგენს რამდენსამე ათეულს. ამ ამბის გამო რუსეთის მთავრობამ მიანდო პეკინში მყოფ რუსეთის დესპანს, რომ დაუყონებლივ წინადადება მისცეს ჩინეთის მთავრობას-ეხლავე დააკმაყოფილოს რუსეთი სრულიათ.

**ბოდაიბო.** ლენის მადნებში ოქროს სამრეწველოთა საზოგადოების სამრეწველოებზე მუშების საყურადღებოთ გააკრეს ახალი განცხადება, რომლითაც მოუწოდებენ მუშებს შეუდგენ მუშაობას. მოუწოდებენ იმათაც, ვინც გაფიცვაში მონაწილეობდა და უდებენ ახალ ხელშეკრულებას მომავალი წლის ივლისის ვადაში. როგორც კი ეს ახალი ხელშეკრულება ორივე მხრით ხელმოწერილი იქნება, უნდა მოაწერონ ძველი ხელშეკრულების გაუქმებაზეც და პირობა უნდა დასდონ, რომ შემდეგში ერთურთს არავითარ პრეტენზიას არ განუცხადებენ, რომელიც კი ძველი ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. იმათ შესახებ, ვინც ახალ პირობებზე თანახმა არაა და მუშაობას არისურვებს, მრეწველთა ამხანაგობის გამგეობამ დაადგინა, მისცეს მათ სახარჯო დადგენილი წესის თანახმათ და სამგზავროთ კიდევ 10 მან. სახარჯოთ, თვითეულ მუშას, რომელიც სამრეწველოებიდან მიდის, უცოლშვილოს ეძლევა 57 კაპ. დღეში, ხოლო ცოლშვილიანს ორჯერ მეტი. პირველი გემი ბოდაიბოსაგენ წავა 2 ივლისს

**მოგილევი.** ბარსუკში თოხმა ავაზაკმა მოკლა მღვდელი ნოვსკი, მეორე სოფელში გაძარცვა მეწისქვილე. მათ შესაპყრობათ თვითონ გუბერნატორმა მიიღო სასტიკი ზომები, დიდი ძებნის და დევნის შემდეგ პოლიციელთა რაზმი დაეწია მათ გირეცკის ჭემოდანში, სადაც შეტაკების დროს მოკლეს სამი, ხოლო მეოთხე დაიჭირეს.

**უცხოეთი.**

**ლისაბონი.** დაბა სეზიმბრაში ლისაბონის ახლო 29 ივნ. დაიწყო არეულობა. ბევრი დაიჭირა.

**მადრიდი.** კაპიტან კონსეიროს მეთაურობით 700 როიალისტისაგან შემდგარი რაზმი ვალენში დგას. ისპანიის მთავრობამ დაატყვევა 40-მდე როიალისტი, რომლებიც ისპანიის საზღვარზე გადმოსულიყვნენ.

**იანცზიფუ.** ქალ. სანჩიგოუს თავს დაესხა ყაჩაღთა დიდი ბრბო. გაძარცვეს ვაჭრები.

**კონსტანტინეპოლი.** სენატორმა ფუადფაშამ სენატში წინადადება შეიტანა, რომ აეკრძალოს ყველა ჩინოვნიკებს და ამათ რიცხვში სენატორებსაც პოლიტიკური მოქმედება. ამბობენ, შინაგან საქმეთა მინისტრმა სამსახურიდან გადადგომა ითხოვაო.

ქ. პრიშტიტის (?) ახლო სამი დღეა ომი გრძელდება. ურინის ხეობა ალბანელებმა უკვე დაიჭირეს. მუშირლიკში ალბანელები მთავრობის ჯარის ბატალიონს გარს შემოერტყენ. სალონიკიდან სერბიის საზღვრის ახლო, პატუევოში მივიდა ქვეითა ჯარის ერთი პოლკი.

**ლონდონი.** დამატებითი არჩევნებზე გაპლეში ლიბერალებმამოიგეს ადგილი, რომელიც ეკუთვნოდა მუშათა პარტიას.

**ლისაბონი.** დაატუსაღეს 15 ხუცესი ევორაში.

**გრანოლევიერი.** კარლისტები რესპუბლიკანელებს კრებაზე მიუხდენ და სროლა აუტეხეს. შეტაკების დროს მოკლეს ერთი და დაჭრეს სამი. ბარცელონაში კარლისტებმა პორტუგალიის რესპუბლიკის წინააღმდეგ მანიფესტაცია მოახდინეს.

**თავრიზი.** მშვიდობით მივიდა პოდპოლკოვნიკის რადჩენკოს წინამძღოლობით სერაბის რაზმი დუზდუზანს. სპარსეთის სადმოჟნო სამართველომ აღკრძალა სპარსეთიდან ისეთ ხალიჩების გადატანა, რომლებიც ინის (?) სალებავებით არის შეღებილი. ექსპორტიორები შუამდგომლობენ, რომ ეს განკარგულება ჯერ კიდევ არ შევიდეს ძალაში.

## წერილი ტუაპსედან.

იყო დრო—ქ. ტუაპსეში ქართველთა რიცხვი 20—25 არ აღემატებოდა; დღეს კი აქაური ქართველობა ერთ თვალსაჩინო ჯგუფს შეადგენს და რა თქმა უნდა მათ შორის ინტელიგენტიც საკმაოთ მოიპოვება; მაგრამ სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი დიდ გულგრილობას იჩენენ ყოველგვარ საზოგადო საქმისადმი. აქ ქართველთა შორის ხშირათ შეხვდებით ისეთ პირთ, რომლებიც ამბობენ: ქართველობის გამხელის მრცხვენია, რადგან აქ ისე გვიყურებენ ქართველებს, როგორც ექსპროპრიატორებსო. აქაური მუშათა წრეები თავისუფალ დროს ყავახანებში ნარდ-კარტის თამაშს და ღვინის სმას ანდომებენ. ამაში მათ არც ინტელიგენტები ჩამორჩებიან; ხშირათ აჭარბებენ კიდეც. ამ სიკეთესთან ინტელიგენტების ოჯახები გადაგვარების გზაზე დამდგარან. მათ შვილებს ქართული არ ეყურებათ და რომ კითხოთ, რუსულათ გიპასუხებენ: ქართველი მამაა, თორემ მე კი არა ვარო. ამათ ქართველი ქალებიც მხარს უჭერენ და ასეთს გადაგვარებას საშინლათ უწყობენ ხელს. მათგან ვერც ერთ ქართულ სიტყვას ვერ გაიგონებთ და ქართული გაზეთი რომ მიაწოდოთ, გიპასუხებენ; მე „ქართული" არ ვიციო: ვითომდა რუსული კი ძალიან კარგათ ესმისთ, მაშინ როდესაც რუსულ ანბანს ძლივს არჩევენ. აქაური ქართველობა, სხვა ქალაქების ქართველობასთან შედარებით, მეტათ უკან ჩამორჩენილია კულტურის მხრით. ისინი არც წარმოდგენებს მართავენ, არც სამკითხველოებს აარსებენ და არც წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების დაარსებაზე ზრუნვენ. დროა ვგონებთ, რომ გამართონ ქართული წარმოდგენები და დააარსონ კულტურული რამე დაწესებულება. გასულ ზაფხულში კნ. დგებუაძისამ განიზრახა,—გაემართა ქართული წარმოდგენა, მარა სურვილმა უნაყოფოთ ჩაუარა რადგან თანამგრძნობი ძალიან მცირე აღმოჩნდა.

არ შეგვიძლია გაკვრით არ შევეხოთ ადგილობრივ ვაჭრებსაც: მათ ტუაპსეში მხოლოდ ჯიბის გასქელების სურვილწყურვილი აწუხებთ და მხოლოდ ამაზედა ფიქრობენ. მათთვის არც საქველმოქმედო რამ საქმეა და არც საზოგადო. თუ ჩამოუგდეთ ასეთ საგნებზე ლაპარაკი, ისე ბრაზდებიან, როგორც ესპანიაში ცირკის ხარები წითელი მატერიების დანახვაზე გიჟდებიან.

ამ ჟამათ მათ შესახებ მეტს არას ვიტყვით.

**მ. მაღალ-მიწელი.**

# რუსეთი.

(გაზეთებიდან)

**შიმშილობა ციხეში.** პსკოვის საკატორღო ციხეში ტუსაღებმა შიმშილი გამოაცხადეს. ციხე გუბერნატორმა ინახულა.

**კატორღა.** გლეხ მერნის სამხედრო სასამართლომ სევასტოპოლში ეს-ერთა პარტიის წევრობისათვის 4 წლის კატორღა მიუსაჯა.

**500 გლეხის გასამართლება.** ქ. პიატიგორსკში თბილისის სამოსამართლო პალატის სესიამ გაარჩია საპელაციო საჩივარი მოზდოკის განყოფილებაში მცხოვრებ ხუთასი გლეხისა, რომელთაც ბრალდებოდათ 1905 წლის ბოლოს გენერ. საფონოვის 65 დესიატინა ტყის თავის ნებით გაჩეხა. ეს საქმე პირველათ გაირჩა საოლქო სასამართლოში და ბრალდებულთ მიესაჯათ რვა-რვა თვის ციხე და ტყის პატრონის სასარგებლოთ 65 ათასი მანეთის გადახდა. ახლა სამოსამართლო პალატამ „რუს. სლ." სიტყვით ორი დღის თათბირის შემდეგ დაამტკიცა საოლქო სასამართლოს განაჩენი.

**სიტყვის თავისუფლება.** ქ. პერმში გაზეთი „პერმიის მხარე" კიდევ დააჯარიმეს სამასი-მანეთით გაზეთის რედაქტორი, რომელმაც მხოლოთ ამის შემდეგ ორი ნომრის გამოშვება მოასწრო, ჯარიმის შეუტანლობისათვის დაატუსაღეს. ექვს უკანასკნელ ნომრებისათვის ეს გაზეთი დაუჯარიმებიათ სამჯერ.

— კურსკის საგუბერნიო ტომის უპრავის წევრმა კონდრამოვმა, რომელიც ასრულებს დროებით უპრავის თავმჯდომარის მოვალეობას, სასტიკი განკარგულება მოახდინა, რომ არც ერთი მოსამსახურე არ ღებულობდეს რომელიმე პროგრესიულ გაზეთს უპრავის ადრესით.

— პეტერბურგში მოელიან იაპონიის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს კაცურას.

**გაფიცვები.** პეტერბურგში ლანგენზიპენის ქარხანაში 150 მუშა გაიფიცა; მოითხოვეს ნამუშევრის მიმღების-პეტერსონის დათხოვა; ეს უკანასკნელი ეხლახან შესულა ქარხანაში და, რომ ადმინისტრაციის მადლობა დაიმსახუროს, ბუარებელ ნამოქმედს უწუნებს მუშებს და თან ფასებსაც ანახევრებს. გაფიცულ მუშებს კრების მოხდენა უნდოდათ, მაგრამ პოლიციამ დაფანტა ისინი.

— ლ. ნობელის სამჭედლოში მუშები მედგრათ განაგრძობენ გაფიცვას და სრული იმედი აქვთ, რომ გაიმარჯვებენ; თან ამხანაგებს მადლობას უძღვნიან ფულით დახმარებისათვის.

— ციხიდან გაანთავისუფლეს პეტერბურგის ტრამვაის 25 მუშა, რომელთაც გაფიცვისათვის სასჯელი ქონდათ მისჯილი.

— კრემენჩუგში დასრულდა როდკინის სამხერხაოში მომხდარი გაფიცვა. გამარჯვება მუშებს დარჩათ.

— პასტორის ქარხანაში (პეტერბურგში) მუშათა გაფიცვა ხუთი კვირაა გრძელდება. ქარხნის ადმინისტრაცია ცდილობს შტრეიკბრეხერების დაქირავებას მარა ამაოთ. ჯერ-ჯერობით მხოლოდ 3 კაცი იშოვა. მუშებში სულიერი განწყობილება კარგია. სხვა ქარხნებიდან მათ მუშები ფულით დახმარებას უწევენ.

— ქ. ნიკოლაევში ერთი თვის განმავლობაში გაფიცული იყო ფრანგების ქარხანა, რომელშიც ამ ხანებში ისევ იწყება მუშაობა. მუშებს ხელფასი მოუმატეს.

— თავრიდის გუბერნიის ფეოდოსიის მაზრაში გაფიცულა 300 მუშა; მოთხოვნილებანი ეკონომიურია.

**აგრარული უწესობა.** ტომსკის გუბერნიის ს. კაილონსკში გლეხებსა და მიწის მზომელთა შორის მიწის საკითხის მოწესრიგების ნიადაგზე კონფლიკტი მოხდა.

**საერობო უფროსის გალახვა.** მინსკის გუბერნიაში სასოფლო ყრილობაზე გლეხებისა და საერობო უფროსის შორის უკმაყოფილება მოხდა; გლეხებმა უფროსი გალახეს, რამაც ოცი მათგანის დატუსაღება გამოიწვია.

**ციხეში.** პსკოვის ციხეში 19 ივნისიდან შიმშილობს 50 ტუსაღი.

გვარი დაბრკოლება. პირიქით, ვინც ძალიან მოსაწონებელია ჩვენს წრეში, ის ვერასოდეს სიმედო ამხანაგი ვერ გახდება.

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ვიქტორ ადლერი თითონ შემოვიდოდა ჩვენს პარტიაში, როცა საბოლოოთ გამოარკვევდა თავის შეხედულებას სოციალიზმზე. და უეჭველია ის უფრო ადრეც გახდებოდა პარტიის წევრათ, რომ ავსტრიის სოციალდემოკრატია მესამოცდაათე წლების დასაწყისში ისეთი ნაკლებ მიმზიდველი არ ყოფილიყო. 1866 წელს ავსტრია მხოლოდ გერმანიის ნაწილს წარმოადგენდა. ინტელექტუალურის მხრივ 1878 წლამდი ავსტრიის მუშათა მოძრაობა ნაწილი იყო ნემეცების მუშათა მოძრაობისა. როცა, როგორც ეს გარეშე მაყურებელთ ეგონათ, ნემეცების სოციალდემოკრატია დაეცა სოციალისტების წინააღმდეგ შექმნილ კანონის მეოხებათ, ავსტრიის სოციალდემოკრატიის სულიერი საფუძველი დაარღვია. ავსტრიის პროლეტარიატის უმრავლესობა აასცდინეს სწორ გზას—განსაკუთრებით ვენაში ნემეცთა სოციალდემოკრატიის კრიტიკოსები კარგ ნიადაგს პოულობდენ. მოსტისა და მისი აგენტების შემდეგ ვენის მუშებს თან და თან იპყრობდა ანარქიზმი. ამას ძალიან ხელს უწყობდა პროვოკატორობის გაძლიერება. პოლიციის ძლევამოსილებასთან ერთად ფეხს იკიდებდა პოლიციისავე მოწყობილი პოლიტიკური და თვით უბრალო სისხლის სამართლის დანაშაულობათა ფაბრიკაცია და ეს არა მარტო გერმანიაში, არამედ ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიაში და შვეიცარიაშიც. მარა ისეთი კარგი ნიადაგი პროვაკაციას არსად ქონებია, როგორც ეს ავსტრიაში. ამნაირათ პარტიაში დაიბადა ოპოზიცია, მარა მას იმდენი ძალა არ შესწევდა, რომ გამოეწვია განხეთქილება, სამაგიეროთ ვერც პარტიამ შესძლო გზა გადაეღობა ანარქიზმისა და პროვაკაციისათვის. „რადიკალებთან" შედარებით ეგრეთწოდებული „ზომიერები" უმცირესობას წარმოადგენდენ.

ასეთ პირობებში ბიქტორ ადლერი ჩვენს პარტიაში ვერ იპოვიდა ნიადაგს ნაყოფიერი მუშაობისათვის. ის პირველათ შეეცადა ემუშავა მუშათა შორის არა როგორც პოლიტიკოსს, არამედ როგორც ექიმს. პარტიულ პრესაშიც პირველ ხანებში მან მონაწილეობა მიიღო როგორც ექიმმა. როცა 1883 წელს მე დავიწყე Neue Zeit-ის გამოცემა ერთ პირველ წერილთაგანი მასში იყო ადლერის სტატია მუშების პროფესიონალურ ავათმყოფობათა შესახებ. ცოტა ხნის შემდეგ მან მინახულა მე შტუდგარტში და მაცნობა, რომ იგი აპირებდა უფრო ინტენსიურ მუშაობას ავსტრიის პროლეტარიატისთვის. 1883 წ. 17 აპრილის კანონით ავსტრიაში შემოიღეს საფაბრიკო ინსპექცია. ამ ასპარეზზე უნდოდა ადლერს თავისი ძალ-ღონის გამოყენება. რასაკვირველია, ის თვითონაც დარწმუნებული იყო, რომ დიდხანს ვერ დარჩებოდა ამ სამსახურში, მარა ის იმედოვნებდა—იმდენ დროს მაინც გაატარებდა აქ, რომ საფუძლიანათ შეესწავლა და გამოეაშკარავებია ავსტრიის მუშათა ნამდვილი მდგომარეობა.

რომ მომზადებულიყო ამ მოვალეობისათვის, მან შემოიარა გერმანია, შვეიცარია და ინგლისი, სადაც იგი სწავლობდა არა მარტო საფაბრიკო ინსპექციის მოწყობილობას, არამედ ეცნობოდა აგრეთვე ჩვენი მოძრაობის მეთაურებს. სხვათა შორის ბორსდორფში მან ინახულა ლიბკნეხტი და ბებელი, რომ ენგელსთან მათი წერილი წაეღო. მარქსი სწორეთ ამის წინ მოკვდა.

თუმცა ადლერის სოციალისტური შეხედულება არ იყო ცნობილი და ძნელი საშოვარი იყო უფრო გამოსადეგი კაცი ექიმისა და სოციალ-პოლიტიკოსის როლში, მარა მან მაინც უარი მიიღო. ბიუროკრატები საკმაოთ გამჭრიახები აღმოჩნდენ, რომ გაეგოთ თუ რა რიგ არასასიამოვნო იქნებოდა კაპიტალისტებისათვის ადლერის ტიპის საფაბრიკო ინსპექტორი, მარა ისინი იმდენათ შორსმჭვრეტელი მაინც ვერ გამოდგენ, რომ შეენიშნათ, თუ რამდენათ საშიში იქნებოდა ადლერი საფაბრიკო ინსპექტორის თანამდებობის გარეშე. ჩვენს პარტიას მათ დიდი სამსახური გაუწიეს, ვინაიდან დააჩქარეს ადლერის პარტიაში შემოსვლა, სადაც მაშინ მოღვაწეობისათვის უფრო ფართო ასპარეზი იყო გახსნილი.

როგორც იყო, დაბოლოს პროვაკაციამ იშოვნა საბაბი მუშათა მოძრაობის ძალათ ჩასაქრობათ. კამერერის, შტელმახერის და სხვა ტერორისტულ აქტების შემდეგ მთავრობამ 1884 წელს ვენაში შემოიღო საალყო წესები. ორგანიზაციების ნაწილი მთავრობამ დაშალა—დაითხოვა, ნაწილმა თვით შესწყვიტა არსებობა, რომ გადაერჩინა კონფისკაციისაგან პარტიული ქონება. ერთგვარათ სდევნიდენ როგორც „ზომიერებს", ისე „რადიკალებს". 1885 ფაქტიურათ სოციალდემოკრატიული ორგანიზაცია მომსპარი იყო. მასთან ერთად გაქრა ილიუზია, რომლითაც კაპიტალისტური საზოგადოება უნდა დანგრეულიყო ერთი ძლიერი შენძრევით.

საჭირო შეიქნა არა თუ ხელახლათ მოწყობა სოც. დემოკ. ორგანიზაციებისა, მასთან აუცილებელი გახდა მასში ახალი შინაარსის შეტანა, რომელიც მოსპობდა განსხვავებას „ზომიერებსა" და „რადიკალებს" შუა. მარა ამას ხელს უშლიდა ძველი ფრაქციული კინკლაობა და პირადი შეხლა-შემოხლა.

(შემდეგი იქნება)

**სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვ-ბის სავაჭრო სახლი**

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას—ვინაიდან საზღვარგარეთისა და რუსეთის პირველ ხარისხოვან მწარმოებლებთან შეღავათიანი პირობებით არის შეკრული, შესაძლებლათ სცნო შესამჩნევად დასწიოს ფასი

**საწერ და კანცელარიის საჭირო ნივთებზე.**

ახალი პრეისკურანტები კანცელარიებს მუქთად დაურიგდება. მ.—1—4

**? დ ა ვ ი თ ქ ე ზ ა ძ ე ?** მ—1—4.

მკითხველების საყურადღებოთ

**სავაჭროში ძმ. ფ. და ლ. ფილიპოვების სავაჭროში**

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა ძმ. გოკიელოვების სავაჭროს გვერდით იყიდება შემდეგი საქონელი: ფარფორის, ფაიანსის, შუშეულის ნივთები, ყოველგვარი ლამპები, ემალიანი ჭურჭლები, სამზარეულოს ფეჩე-ბი და სპირტოვკები, სამოვრები, უთოები, მელხიორის ნივთები, ყოველგვარი კრაოტები, გიტარები, კლიონკები, სკამები და პირ-საბანები და სხვა.

დიდი კოლექცია ბავშვების სათამაშოების და ბევრი სხვა და სხვა საფეშქაშო ნივთების

**პარტიით მყიდველთა საყურადღებოთ** აქვე იყიდება დიდ-ძალი საპარტიო ყოველ გვარი ფაიანსის და შუშეულის საქონლები, **ფასები შესამჩნევად დაკლებულია.** მ—1—4


# უ ც ხ ო ე თ ი.

—

(გაზეთებიდან.)

**ალბანეთის აჯანყება.**

დღევანდელი ოსმალეთი საშინელ პირობე-ბშია. ჯერ იყო და გაკადნიერებულმა იტა-ლიამ სრულიად უსამართლო ომი აუტეხა, რითაც ძირიანათ შეარყია ახლათ ფეხმომაგრებულ რე-ჟიმის ისედაც დატაღიერებული ხაზინა. პირველ უბედურებას მეორე მოყვა: ახალგაზრდა ოს-მალთა რეჟიმს ერთხელ კიდევ აუჯანყდა ალ-ბანია, ეს მრავალტანჯული და სისხლით მო-რწყული მხარე. აჯანყებულნი ავტონომიას მო-ითხოვენ; მართალია, გადაწყვეტით რისამე თქმა ჯერ შეუძლებელია, მარა ჯერჯერობით მაინც გამარჯვების სასწორი აჯანყებულ ალბანელებისკენ იწევს. მთავრობა შეიძლება კიდევ გამკლა-ვებოდა აჯანყებულთ, რომ კიდევ უბედურება არ დატეხოდა თავს: ესაა ჯარების საგრძნო-ბი რიცხვის აჯანყება, რაც სრულ დეზორგა-ნიზაციას ახდენს სახელმწიფოს ფეხმოუდგმელ ცხოვრებაში. ეჭვს გარეშეა, რომ ახლა აღმო-სავლეთის საქმეების აგრე აფორიაქება ბევრ მეზობელ სახელმწიფოს აღუძრავს მადას, რა-მაც, ადვილათ შესაძლებელია, მთელი ევროპის არევ-დარევა გამოიწვიოს.

**სოციალისტთა კონგრესი იტალიაში.**

ეხლახან იტალიაში სოციალისტურ პარ-ტიის კონგრესია, რომელიც საზოგადო ყუ-რადღებას იწვევს.

პირველ ხანებში კონგრესზე ჭარბობდა პა-რტიის მემარცხენეფრთა, რომელმაც პარტიი-დან გამორიცხა რეფორმისტების ლიდერები ბისოლატი, ბონომი და კაბრინი. მათდამი სოლიდარობის ნიშნათ პარტიიდან გამოვიდნენ სხვა ცნობილი რეფორმისტებიც.

პარტიაში განხეთქილება აუცილებელია.

კონგრესის უმთავრესი საკითხი მომავალი არჩევნების ტაქტიკა იყო; დიდი კამათის შემ-დეგ გამოიტანეს რეზოლიუცია, რომლის ძალით ბურჟუაზიასთან ბლოკი დასაშვებია მხო-ლოთ მუნიციპალურ არჩევნებში და ისიც პა-რტიის ლიდერთა მოწონებით, პარლამენტის არჩევნებში კი ყოველგვარი ბლოკი დაგმობი-ლია.

მემარჯვენე რეფორმისტებში გადაწყვიტეს ცალკე ნაციონალური კონგრესის მოწვევა, რო-მელზედაც ფიქრობენ შეაერთონ ყველა რადი-კალური ელემენტები, რომელნიც სიტყვით კიდეც სოციალისტობენ. ბურჟუაზიულ პრესაში ამ განხეთქილების გამო დიდი სიხარულია.

**პორტუგალიის მონარქისტები.**

პორტუგალიის რესპუბლიკის მტრებს კიდევ არ სძინავთ. არ იქნა—ვერ მოისვენეს მონარქი-სტებმა, რომელთაც კიდევ აქვთ იმედი, რომ დაკარგულ ბატონობას დაიბრუნებენ. ამ მიზ-ნით ისინი დრო-გამოშვებით თავს ესხმიან მთავრობას, მაგრამ იმედები ჯერჯერობით მაინც ყოველთვის უცრუვდებათ. მონარქისტებს აკავშირებს და ამხნევებს ისპანიის სამღვდე-ლოება.

# პარკის ყიდვა-გაყიდვის საქმე.

—

ბევრი რამ თქმულა და დაწერილა გა-ზეთებში ჩვენში პარკის ყიდვა-გაყიდვის საქმის მოგვარების შესახებ, მარა ეს საქმე თქმისა და წერის იქით არ წასულა. ყვე-ლას კარგათ მოეხსენება თუ მეაბრეშუმეო-ბას საქართველოსათვის და კერძოთ ქუთაისის გუბერნიისათვის რა დიადი სარგებლობა მოაქვს. ეს დარგი მეურნეო-ბის ერთ მთავარ შემოსავლიან წყაროთ ითვლება გლეხისათვის. აბრეშუმის მოწე-ვისა და გაყიდვის შემდეგ ისტუმრებს გლეხი სახელმწიფო ზეგარას, მღვდლის დრამას; აბრეშუმის მოსავლიდან იმოსავს გლეხი თავს და მოსავს თავის ცოლშვილს. მეურნეობის ამ დარგს დიდი ყურადღება უნდა ქონდეს მიქცეული ჩვენში, უნდა ვეხმარებოდეთ ხალხს მეაბრეშუმეობიდან დარიგებების მიცემით, სალი თესლის მიწო-დებით, მარა ყოველივე ამან თქვენი ჭირი წაიღოს, დღემდი თავისი პრიმიტიულ შრო-მით მონაგარი საქონლის გაყიდვის საქმე ვერ მოუგვარეთ გლეხებს. წელს აბრეშუმის პარკი ჩალის ფასათ იყიდება. ცნობები გვაქვს, გლეხის წვითა და დაგვით შეძე-ნილი პარკი ალაგ ფუთი 9 მანეთათ იყიდება, ალაგ 10 მანეთათ, ალაგ 11-ათ და ალაგ 12-ათ. გასულ წელს პარკი 17—18 მანეთად იყიდებოდა. წელს ვაჭრებმა იპოვეს მიზეზი „ომია, ოსმალეთი იტალიას ებრძვის, დარდანელის სრუტე იკეტება, შინაური პოლიტიკური მდგომა-რეობა რყევაშია, ქვეყანა არეულია და ვინ იცის ძვირათ რომ ვიყიდოთ პარკი, შესაძლოა ვიზარალოთო“—აი, რა მოტივი დაუდვეს სარჩულათ გლეხის წვითაა და დაგვით შენაძენი ქონების გაიფებას. ჩვენებურ ვაჭრებს პოლიტიკურ ვითარე-ბის „განჭვრეტა“ ჩვეულებათ არა აქვთ, მარა როდესაც ეს მათთვის საჭირო ხდება-პოლიტიკას, ომს და შინაურ მოუწყობ-ლობასაც კი იშველიებენ.

რა ქნას გლეხობამ? იძულებულია ვაჭ-რების მოთხოვნას ანგარიში გაუწიოს. აბრეშუმის პარკის თვისება ყველასათვის ცნობილია. მისი გაჩერება და შენახვა გამოუშრობლათ მხოლოდ ერთ კვირას შეიძლება, შემდეგ პარკიდან პეპელა გა-მოდის და გამოპეპლილი პარკი ღირებუ-ლებას სრულიად კარგავს. ეს კარგათ იციან ვაჭრებმა და ამისთვისაა, რომ მუქთათ იგდებენ ხელში გლეხების სიმ-დიდრეს. ასეთი მდგომარეობიდგან თავის დახწევა ძალიან იოლია. ამას არც დიდი ჭკუა, მეცნიერება და ფილოსოფოსობა სჭირია. საჭიროა სოფლებში საერთო ძა-ლით პარკის გამოსაშრობების მოწყობა, საზოგადო ფარდულის აგება, პარკის თვით სოფელში გამოშრობა და შენახვა მანამ, სინამ საქონელს ღირებული და ღირსეული ფასი მიეცემოდეს. დიახ, სა-ჭიროა სოფლები პირდაპირ საქმეს შეუდგენს რომ მომავალში მაინც თავისი ნამუშავარი ჩალის ფასათ ხელში არ ჩაუყა-რონ ვაჭრებს.

**ილიკო.**

# ბაქო და მისი მუშები

„Рус. Вѣд.“

ამ მოკლე დროში ბაქოს ნავთის მწარ-მოებელთა საბჭომ გამოსცა რუსულ ენაზე საინტერესო წიგნი: „მუშათა და მოსამ-სახურეთა სამუშაო ხელფასი ბაქოს ნავ-თის სამრეწველო რაიონში“. წიგნში მო-თავსებული ცნობები შედგენილია საბჭოს სტატისტიკურ ბიუროს მიერ, რომლის ხელმძღვანელი ცნობილი ფროლოვია; ამის გამო ამ წიგნს ეძლევა მეტი ინტე-რესი, ვინაიდან წინდაწინვე შეიძლება იმის გადაჭრით თქმა, რომ საქმე კეთილ-სინიდისურ და მიუდგომელ გამოცემასთან გვექნება. როგორც წიგნიდან ჩანს, ბა-ქოში სხვა სამრეწველო რაიონებთან შე-დარებით არც იმდენი მუშა ყოფილა და ეს რიცხვიც თანდათან კლებულობს. მაგ. 1907 წ. მუშათა რიცხვი ყოფილა $48^{3}/_{10}$ ათასი, 1909 წ. (გამოკვლევა ამ წელს ეკუთნის) $38^{6}/_{10}$, 1911 წ. კი მხოლოდ 33 ათასი. ასე რომ საანგარი-შო წელს ბაქოში ყოფილა (გარდა კან-ტორის მსახურთა, –2,400 კ.) მთელი რუსეთში სხვილ წარმოების მუშების $^{1}/_{2}$% ხელფასის საზოგადო ჯამი კი, რომელიც ბაქოში 16 მილიონ მანეთს უდრის, სამ პროცენტზე ცოტათი ნაკლებია მთელ იმპერიის მუშათა საზოგადო ხელფასისა. ან უფრო გასაგებათ რომ ვსთქვათ, სა-შვალო ხელფასი ბაქოელ მუშისა ორჯერ აღემატება სხვა მუშებისას. ეს გარემო-ება, რასაკვირველია, აიხსნება არა ბაქო-ელ კაპიტალისტების კაცთმოყვარეობით და ადამიანობით, არამედ მთელი ბაქოს სამრეწველო რაიონის განსაკუთრებულ მდგომარეობით. ბაქოს წარმოება აუცი-ლებელ საჭიროებას წარმოადგენს მთელი სახელმწიფოსათვის, მისი შეფერხებით მთელი იმპერიის წარმოება შეფერხდებო-და და ბიუროკრატიის მიწა-შოროშილი, ჩვენი ბურჟუაზიაც იძულებული გახდა მუ-შათა კლასი ასე თუ ისე ასატან პირო-ბებში ჩაეყენებია. ამით აიხსნება ის გა-რემოებაც, რომ რეაქცია ცელი ისე მძლავრათ ვერ დატრიალდა ბაქოს მუშათა შორის და ვერ მოსპო მუშების პროფე-სიონალური ორგანიზაციები.

მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა გვახსოვ-დეს, რომ ბაქოში ცხოვრება ერთობ ძვირია სხვა რაიონებთან შედარებით, მაგ. მარტო ერთი ვედრა წყალი $1^{1}/_{3}$ კ. ფასობს, ძვირია აგრეთვე ბინა, სასმელ-საჭმელი და სხვა.

სხვათა შორის ერთი ფრიად საინტე-რესო რამეზე გვითითებს ეს გამოკვლევა. რამდენათაც წარმოება უფრო წვრილია, იმდენათ იქ მუშის ხელფასიც დაბალია; რამდენათაც წარმოება იზდება, ხელ-ფასიც მატულობს, მაგრამ აღის რა გან-საზღვრულ მაქსიმუმამდე, ისევ თანდათან ეცემა.

წიგნზე ჩვენ დეტალურათ ვერ შევჩერ-დებით, ხოლო ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ იგი ფრიად საინტერესო გამოკვლე-ვაა და თვალსაჩინო ცნობები შეაქვს დღევანდელ ღარიბ მუშათა კლასის ლი-ტერატურაში.

# ღ ი ა წ ე რ ი ლ ი

**ბ. ლავრენტი ანტონის ძე ჩიმაკაძეს.**

ბ. ლავრენტი! შეიძლება თქვენ არც კი გახსოვდეთ, მაგრამ კიდევ უნდა მოგაგონოთ ჩვენი თავი. შარშან ზაფხულში ჩვენ გაზე-თის ფურცლებზე გკამათობდით სოფ. მათ-ხოჯის კოოპერატიულ დუქნის შესახებ, რომ-ლის გამგეობის თავმჯდომარე თქვენ ბრძან-დებით. საქვეყნოთ გაიძახოდით, რომ მე თქვენ ცილი დაგწამეთ და სხვა ასეთი. მაგ-რამ, როცა უტყუარის საბუთებით დაგიმტკი-ცეთ ჩვენი ნათქვამის სიმართლე და აშკარა ვყავი თქვენი სიმრუდე, თქვენ მაშინ პირში წყალი დაიგუბეთ და ხმა არ გაგვეცით. ხო-ლო თქვენს მაგიერ „კოლხიდაში“, ამ ყველა უსაბუთოთ გამწყრალთა ორგანოში, ყოვლათ უგვანო და ლანძღვით სავსე წერილები მოა-თავსა თქვენმა ვექილმა, სულიერმა ლაქიამ, ვარლამ იმერელმა. თქვენ კი, ვიმეორებ, სდუმხართ აგერ ათი თვეა; შეიძლება ეს დუ-მილი თქვენთვის ხელსაყრელიც იყოს, მაგ-რამ ჩვენ კი ასე ადვილათ ვერ მოგეშვებით. მათხოჯში თქვენ და თქვენს აგენტებს ყვე-ლაფრის მოგვარახშნება შეგიძლიათ, განსა-კუთრებით მაშინ, როცა გწყალობსთ და გფა-რავსთ ისეთი ენა ჭარტალა ვაჟბატონი, რო-გორც ვარლამ ძიძიგურია, ხოლო გაზეთის ფურცლებზე კი აგრე ადვილით ფონს ვერ გახვალთ. ამ წერილით მოგმართავთ-მოგვცეთ უკანასკნელი პასუხი ჩვენ წერილზე, რომელიც შარშან ეკენისთვის პირველ რიცხვებში დაიბეჭდა, ან თუ არსებითათ საპასუხო არაფერი გაქვთ, ის მაინც განაცხადეთ საქვეყნოთ, რომ დუქნის საქმეებს ისე უკუღმა არ აწარმოებთ, როგორც ეს იყო აღნიშნული თქვენს საწი-ნაამდეგო წერილებში. ვადას გაძლევთ ორ კვირას; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ერთ-ხელ კიდევ აღვნუსავთ თქვენს „მოღვაწეობას“ მათხოჯში და საქვეყნოთ გიწოდებთ იმ სა-ხელს, რისი ღირსიც იქნებით.

**მათხოჯელი.**

# წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენ გაზეთის საშვალებით უღრმესი მადლობა გამოვუ-ცხადო ალავერდის სპილენძის ქარხანაში მო-მუშავე იმ მუშებს. რომლებმაც-გამოიღეს დახმა-რება ფულათ და შორეულ ქვეყანაში გამოგზა-ვნეს 15 მ. და 75 კ.

პატივის ცემით **მიხაკო ჭანტურიშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი

**ა. სულაქველიძე.**


**სახალხო გაზეთი** ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

**მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.**

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება

**სურათებიანი დამატება.**

(კვირაობით)

**პრემიად** 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემლი**

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი,

რომელიც „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი“ დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

**გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

**ადრესის გამო-ცვლელი ფასი** ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასო.

**ექვსი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი“ მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ნაწილობით 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

**ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა:**

1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში, (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2) ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.

3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 180.

**წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:**

წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას საკომისიოდ მიეცემა 5%.

მდინარე ფაზისის პირათ, თეთრ ხიდთან

**გაიხსნა საზაფხულოთ**

**მიტროფანე ლალიძის და ამხ-ის**

ხელოვნური სამკურნალო და ხილეულობის წყლის

**წყლიანთ სავაჭრო**

სადაც ხილეულ-მადნეულ წყალს გარდა იყიდება საუკეთესო ქარხნის ლუდი, რძე, შოკოლადი, ნაყინი და სხვა. მ—1—4.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში.